წინ ახალი საფეხბურთო სეზონია

შავი ზღვის სანაპიროზე ახალი, 1983 წლის საფეხბურთო სეზონისათვის ემზადებიან ჩვენი ქვეყნის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თბილისის დინამოელებმა სოხუმის მახლობლად სოფელ გუმისთაში საკონტროლო მატჩი გამართეს ალმა–ათის "ქაირათთან", რომელიც, როგორც ცნობილია, მოიგეს დინამოელებმა – 1:0 (ბურთი შენგელიამ გაიტანა). მომდევნო შეხვედრაში თბილისელებმა ფრედ 0:0 ითამაშეს დნეპროპეტროვსკის "დნეპრთან". ჩვენი გუნდის შემადგენლობა ბოლო შეხვედრაში ასეთი იყო: მჭედლიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე, მუჯირი, მახარაძე (კოპალეიშვილი), კერესელიძე, სულაქველიძე, ჩქარეული (მესხი), ცაავა, შენგელია. ასევე ფრედ (1:1) დამთავრდა ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

"ლელო", 12 თებერვალი, 1983 წ.